<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავჭალის რკინიგზის სადგურისთვის ქართველი სამხედრო მოღვაწის ვლადიმერ გოგუაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, ავჭალის რკინიგზის სადგურს მიენიჭოს ქართველი სამხედრო მოღვაწის ვლადიმერ გოგუაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ვლადიმერ გოგუაძის სახელობის
ავჭალის რკინიგზის სადგური
01.11.04.017.060
01.11.04.017.047
01.11.04.017.060
01.11.03.001.020
01.11.04.017.029
01.11.04.017.016
01.11.04.017.013
01.11.04.017.014
01.11.04.017.033
01.11.04.017.012
01.11.04.017.017
01.11.04.018.010
01.11.04.018.006
01.11.03.001.022
01.11.03.013.015
01.11.03.013.020
01.11.03.013.030
01.11.03.013.024
01.11.03.013.057
01.11.03.020.004
01.11.03.020.005
01.11.03.020.011
01.11.03.019.017
01.11.03.019.022
01.11.03.019.005
01.11.03.021.025
01.11.03.021.040
01.11.03.021.043
01.01.758
01.00.327

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **ბ/6469452**
თარიღი: **27/01/2021**
პინი: **####**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი დედაქალაქის რიგი გეოგრაფიული ობიექტებისთვის კინორეჟისორ გიორგი შენგელაიას, საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე ანდრონიკაშვილის, იუნკერების-პლატონ დოლიძის და ალექსანდრე ახვლედიანის, ასევე ავჭალის რკინიგზის სადგურისთვის სამხედრო მოღვაწე ვლადიმერ გოგუაძის სახელების მინიჭებასთან დაკავშირებით.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობა და მათ მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორიები და მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

ვლადიმერ გოგუაძე

(1880-1954)

პოლიტიკოსი,სამხედრო პირი, საქართველოს ეროვნული გმირი

დაიბადა გურიის სოფელ ჭანჭათში, 7 წლის სოფლის სკოლაში მიაბარეს, მაგრამ უსახსრობის გამო მხოლოდ 3 წელიწადს სწავლობდა. 11 წლისა იძულებული გახდა, მოჯამაგირედ დამდგარიყო. ერთ წელიწადში ბათუმში წავიდა სამუშაოს საძებნელად, სადაც 18 წლამდე დარჩა, შემდეგ გურიაში დაბრუნდა და ხე–ტყის დამზადებაზე დაიწყო მუშაობა.

1900 წელს რუსულ ჯარში გაიწვიეს. 1901-02 წლებში ირიცხებოდა მეხუთე მსროლელ ბრიგადაში. მსახურობდა ოდესაში, მანჯურიაში. სისტემატურმა წრთვნამ იგი კარგ სპორტსმენად და საუკეთესო მსროლელად ჩამოაყალიბა. 1903 წელს ვალოდია გოგუაძე საქართველოში დაბრუნდა და ბაქო-ბათუმის რკინიგზაზე მოეწყო სამუშაოდ. 1904 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა, ხოლო ამ პარტიის ორ ნაწილად გაყოფის შემდეგ - მენშევიკი. თუმცა ის იმ იშვიათ მენშევიკთაგანი იყო, ვისთვისაც ეროვნული იდეა იყო უმთავრესი.

ბაქოში ვალოდია გოგუაძე რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება, როგორც გამოცდილი მებრძოლი, სოციალ–დემოკრატებმა სამხედრო რაზმის უფროსად აირჩიეს. რევოლუციური იატაკქვეშა კომიტეტის დავალებით ვალოდია გოგუაძემ მრავალრიცხოვანი ტერორისტული აქტი ჩაატარა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ. მონაწილეობდა 1905–1907 წლების რევოლუციურ გამოსვლებში, თავის რაზმელებთან

ერთად სდევნიდა ყაჩაღთა ბანდებს, რომელთა რაოდენობაც ძლიერ მომრავლდა რევოლუციის პერიოდში. ბაქოში მას „დიდი ვალოდია“ შეარქვეს.

1909 წელს ვლადიმერ გოგუაძე გურიაში დაბრუნდა. 1916 წელს სოფელ გუთურში ყაჩაღებთან შერკინების დროს, ვალოდია გოგუაძე მარცხენა ფეხში დაიჭრა. ჭრილობა მძიმე აღმოჩნდა, მუხლის ძვალი დამსხვრეული ჰქონდა. ვინაიდან პოლიცია ეძებდა მეგობრები მას სოფელ–სოფელ მალავდნენ, მხოლოდ 1917 წლის მარტში მოხერხდა მისი თბილისში ჩამოყვანა. რამდენიმე ოპერაციის შედეგად ფეხი შეუნარჩუნეს, თუმცა ოდნავ დაუმოკლდა და მუხლშიც მოხრილი დარჩა.

ვალოდია ჯერ კიდევ ყავარჯნებით დადიოდა, როცა თბილისში დაარსებულმა თავდაცვის კომიტეტმა (ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით.) იგი მიიწვია გაძლიერებული ანარქიის საწინააღმდეგოდ შექმნილი შეიარაღებული რაზმის ხელმძღვანელად. 1918-1921 წლებში ვალოდია გოგუაძე იყო საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნოსანი მატარებლის მეთაური. განსაკუთრებული გმირობა გოგუაძის რაზმმა გამოიჩინა 1918 წლის იანვარ-მარტში აჭარასა და გურიაში შეჭრილი ოსმალეთის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1918 წ. 13 აპრილს ამიერკავკასიის საოლქო დელეგატების სხდომაზე ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთლის და ევგენი გეგეჭკორის წარდგინებით ოსმალური სამხედრო შენაერთების მდინარე ჩოლოქზე შეჩერების გამო, გოგუაძე ეროვნულ გმირად აღიარეს. ყრილობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება - გოგუაძისთვის „რევოლუციის პირველი გმირის“ წოდების მინიჭების შესახებ. სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომის დროს გოგუაძე დაჯილდოვდა წმინდა გიორგის მესამე ხარისხის ორდენით.

საბჭოთა რუსეთთან ბრძოლებში (1921 წლის თებერვალი) მძიმედ დაჭრილი ვალოდია მეგობრებმა სტამბულში წაიყვანეს, სადაც ის ფრანგულ ჰოსპიტალში მკურნალობდა. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მას მეუღლეც შეუერთდა. თურქეთში ორ წელიწადს გაჩერდნენ. როცა სამშობლოში დაბრუნების იმედი გადაეწურათ, 1923 წელს, პარიზში ჩავიდნენ და თავი ლევილის მამულს შეაფარეს.

ვალოდია გოგუაძე ემიგრაციაში იყო საქართველოს სოციალ–დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროსა და საფრანგეთის ქართული სათვისტომოს გამგეობის წევრი. თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ პრესასთან. უცხოეთში მან დაწერა ვრცელი „მოგონებები“, თუმცა II მსოფლიო ომის დროს გერმანიის ჯარების საფრანგეთში შესვლისას ავტორმა ხელნაწერები ცეცხლს მისცა. გოგუაძის „მოგონებების“ ფრაგმენტები, რომელიც ძირითადად 1890-1919 წლებს ასახავს, გადაარჩინა და 1963 წ. პარიზში ქართულად გამოსცა მისმა მეუღლემ.

ჯავშანმატარებლის ლეგენდარული მეთაური 1954 წელს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 74 წლის ასაკში გარდაიცვალა, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.